ანგარიში

ერასმუს +

მობილობა პარიზ საკლეს უნივერსიტეტში 02-07 ივლისი 2023 წელი

პროფესორი ზვიად ღურწკაია

2023 წლის 2 დან 7 ივლისამდე ერასმუს პლუსის გაცვლითი პროგრამით ვიმყოფებოდი საფრანგეთის პარიზ დაკლეს უნივერსიტეტში.

ტექნიკური უნივერსიტეტიდან ვიყავით 4 ადმინისტრაციული პერსონალი. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების და მედიცინის ფაკულტეტიდან.

მე ბედნიერი ვარ რომ მოვხვდი ამ უნივერსიტეტში, რადგან, ის
ევროპის ერთ- ერთი წამყვანი უნივერსიტეტია და სხვადასხვა მიმართულებით (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია) ევროპაში წამყვან პოზიციაზეა.

3 ივლისს ჩვენ გვქონდა პირველი ვიზიტი უნივერსიტეტში. კერძოდ შევხვდით საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელებს. ამ შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ მასწავლებლები.

შეხვედრაზე ლაზარე ბოლტონმა გააკეთა პრეზენტაცია პარიზ საკლეს უნივერსიტეტის შესახებ და გაგვაცნო ჩვენი ვიზიტის დეტალები.

4 ივლისს ჩვენ გვქონდა ვიზიტი უნივერსიტეტის ფარმაციის ფაკულტეტში. ფარმაციის ფაკულტეტის შენობა ახალი აგებულია და დაკომპლექტებულია უახლესი ლაბორატორიებით, სადაც მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები მუშაობენ. შევხვდით ფარმაციის ფაკულტეტის დეკანს. მან ისაუბრა ფაკულტეტის ისტორიის და თანამედროვე მიღწევების შესახებ.

განსაკუთრებული ყურადღება გაუსვა მათ კავშირს ფარმაციის და პარფიუმერიის ინდუსტრიებთან. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში ცნობილი ფარმაციის და პარფიუმერიის კომპანიები ცდილობენ თავიანთი ოფისები ქონდეთ რაც შეიხლება ახლოს უნივერსიტეტთან, რომ იყვნენ მათი სამეცნიერო მიღწევების პირველი მომხმარებლები.

დეკანმა ამომწურავი პასუხი გასცა ჩვენს შეკითხვებს.

შენდეგ ჩვენ შევხვდით მეცნიერებს და ლაბორატორიის ხელმძღვანელებს. ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა იქ მიმდინარე კვლევებმა, რომლის შედეგსაც მსოფლიო ელოდება. დავათვალიერეთ გულის ფიზიოლოდლგიის ლაბორატორია სადაც ამჟამად ქიმიოთერაპიული პრეპარატების კარდიოტოქსიურობას სწავლობენ.

დავათვალიერეთ ასევე სიმსივნის შემსწავლელი უახლესი ლაბორატორიები. ასევე დეპრესიის და სხვა ნეიროპაზთოლოგიების ლაბორატორიები.

შემდეგ დავათვალიერეთ ფარმაციის მუზეუმი, რომელიც იმავე შენობაშია განლაგებული.

დღის ბოლოს შეგვახვედრეს წარმატებულ ქართველ სტუდენტთან, ხატია მერაბიშვილთან, რომელიც გახდა პარიზ საკლეს უნივერსიტეტის მაგისტრი და ამჟამად სწავლას დოქტორანტურაზე აგრძელებს.

5 ივლისს გვქონდა შეხვედრა მედიცინის ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან. მედიცინის ფაკულტეტი გეოგრაფიულად პარიზის სხვა ნაწილში მდებარეობს, სადაც ასევე მრავალი კლინიკაა განთავსებული.

შევხვდით მედიცინის ფაკულტეტის დეკანის და დეკანატის სხვა თანამშრომლებს.

მათ ისაუბრეს ფაკულტეტზე. სწავლის და გამოცდების თანამედროვე მიდგომებზე. გასცეს პასუხი ჩვენს შეკითხვებს.

დავათვალიერეთ სიმულაციების ლაბორატორია, სადაც სტუდენტები თანამედროვე სიმულატორებით სწავლობენ სამედიცინო მანიპულაციებს.

ჩემი ვიზიტი პარიზ საკლეს უნივერსიტეტში იყო ძალიან ნაყოფიერი. ვფიქრობ რომ გარკვეული სიახლეების დანერგვას შევძლებთ ფაკულტეტზე ჩვენი ფრანგი კოლეგების გამოცდილების გათვალისწინებით. ამჟამად ჩვენს დეპარტამენტში მიმდინარეობს მათი გამოცდების სისტემის განხილვა და ვფიქრობთ სამომავლოდ მოვახდინოთ მისი დანერგვა.

ასევე მაქვს მიმოწერა ფარმაციის ფაკულტეტის პროფესორთან, ერიკ ეროლთან, რომელიც კარდიომიოპათიების თემაზე მუშაობს. ვფიქრობ მიღებული გამოცდილება და დამყარებული კონტაქტები მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს ჩვენი დეპარტამენტის და ფაკულტეტის განვითარებაზე.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა ადამიანს ვინც მომცა ამ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის საშუალება და ჩვენს ბრწყინვალე მასპინძლებს პარიზ საკლეს უნივერსიტეტში.

HENRI MOISSAN
UNIVERSITE PARIS SACLAY
UNIVERSITE PARIS SACLAY
HM2